# ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩვენ შვიდი რამე გვიბრძანა და შვიდი რამე აგვიკრძალა

ალ-ბარა იბნ 'აზიბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: «ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩვენ შვიდი რამე გვიბრძანა და შვიდი რამე აგვიკრძალა: გვიბრძანა: ავადმყოფის მონახულება, განსასვენებლის ლოცვაზე დასწრება, ვინც დააცემინებს მასზე ღმერთის წყალობის სურვილი, ფიცის შესრულება, ჩაგრულის დახმარება, მიპატიჟებაზე მისვლა და სალამის გავრცელება. აგვიკრძალა: ოქროს ბეჭდები ან ოქროს ბეჭდების გაკეთება, ვერცხლის ჭურჭლიდან დალევა, აბრეშუმის ბალიშების გამოყენება უნაგირებზე, ყასიის, ისთაბრაყის, თხელი და მძიმე აბრეშუმის ტარება».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანა მუსლიმებს შვიდი რამ და აუკრძალა შვიდი რამ; მათ ეს შვიდი რამ უბრძანა: პირველი: ავადმყოფის მონახულება. მეორე: განსასვენებელის ლოცვაზე მისვლა, მისი ლოცვის შესრულებაში და დაკრძალვაში მონაწილეობა, და მისთვის ვედრება. მესამე: ვედრება მისთვის, ვინც დააცემინა და ღმერთის განდიდება. მას უნდა უთხრას: ღმერთმა შეგიწყალოს "იარჰამუქა ალლაჰ''/ალლაჰმა შეგიწყალოს/. მეოთხე: იმ ადამიანის ფიცის შესრულება და დახმარება მას ამაში, ვინც ფიცით დაიფიცა რაიმე. ანუ, თუ ვინმე რაიმეზე ფიცს დადებს, და თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მას, რომ არ დაარღვიოს ფიცი — მაშინ დაეხმარეთ, რათა მას არ მოუხდეს ფიცისათვის გამოსასყიდის მიტანა. მეხუთე: დაჩაგრულის დახმარება — მისი მხარში დგომა და იმ უსამართლობის აღკვეთა, რაც მას ადგება, იმ ზომით, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მეექვსე: მოწვევის მიღება — მაგალითად, ქორწილის სუფრაზე, აყიყაზე (ბავშვის დაბადებისადმი მიძღვნილ სუფრაზე) ან მსგავს ღონისძიებებზე. მეშვიდე: შეხვედრისას სალამის მიცემა (ასსალამუ ალაიქუმ), მისი გავრცელება და მასზე პასუხის დაბრუნება. მათ აუკრძალა ეს შვიდი რამ: პირველი: ოქროს ბეჭდების და სხვა ოქროს სამკაულების ტარება. მეორე: ვერცხლის ჭურჭლიდან დალევა. მესამე: აბრეშუმის ქვეშაგებზე ჯდომა. ეს არის აბრეშუმისგან დამზადებული ქვეშაგი, რომელიც იდება ცხენის ან აქლემის უნაგირზე.ე მეოთხე: აბრეშუმის ქსოვილების ნარევი ტანსაცმელი, რომელსაც (ალ-ყასი) ეწოდება. მეხუთე: აბრეშუმის ტანსაცმელი. მეექვსე: სქელი აბრეშუმის ტანსაცმელი. მეშვიდე: სუფთა აბრეშუმი, ეს არის ყველაზე მაღალი ხარისხის აბრეშუმი.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC
E-Da'wah Committee